№ 165 მარიამობისთვე 5, შაბათი 1889 მარიამობისთვე 5, შაბათი № 165

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ქვლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ქვლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

ტფილისი, 4 მარიამობისთვე

პოლიტიკასა და მწერლობაში დიდი ხანია ის აზრი ტრიალებს, რომ საფრანგეთისა და გერმანიის მორიგება მოუხერხებელი და შეუძლებელია, დღეს თუ ხვალ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს უნდა გაემკლავოს და ან ერთი უნდა გასწორდეს მიწასთან, ან მეორეო. ამ ორის სახელმწიფოს ურთიერთობასა და განწყობილებაზე არის დამოკიდებული მთელის ევროპის საპოლიტიკო მდგომარეობა და ამიტომაც მთელს კაცობრიობას თვალ-ყური მუდამ იმათკენ უჭირავს. გერმანიაცა და საფრანგეთიც მომავალის ომის მოლოდინში მომხრეებსა და მოსარჩლეებს ეძებენ და ამიტომ მთელი ევროპა ორ ბანაკად გაიყო. გერმანიამ უკვე შეჰკრა პირობა ავსტრიასა და იტალიასთან და სცდილობს სხვებიც ჩაითრიოს თავისს წრეში, რომ მზად დაჰხვდეს ერთის მხრით საფრანგეთს და მეორე მხრით რუსეთს. ამიტომაც დიდი ლაპარაკი იყო საფრანგეთისა და რუსეთის მორიგებაზე, მაგრამ დღემდე ამ სახელმწიფოთ ფორმალური პირობა არ შეუკრავთ. რასაკვირველია, გერმანია უნდა სცდილიყო დრომდე ან რუსეთს მორიგებოდა, ან საფრანგეთს, რომ ჯერ ერთისათვის გაესწორებინა ანგარიში. როგორც სხვა-და-სხვა ცნობიდგანა სჩანს, გერმანია საფრანგეთს ეალერსება ალბად იმ განზრახვით, რომ იმისი გული მოიგოს და დრომდე ხელი არ გამოაღებინოს. ამ ალერსის ნიშანი ის არის, რომ გერმანიელი მწერლობა, რომელიც წინად თითოეულ უბრალო შემთხვევისათვის ჰკიცხავდა და ლანძღვა-გინებით იხსენიებდა საფრანგეთს, დღეს მეტად ზრდილობიანად იხსენიებს თავისს დაუძინებელს მტერს. ამას წინად გერმანელ ქალაქიდგან, სახელდობრ მაგდებურგიდგან, საფრანგეთის მართებლობამ გადაიტანა გვამი სამის მიცვალებულისა: კარნოსი, მარსოსი და ლატურდოვერნისა, რომლებიც ოდესმე გერმანელებს ეომებოდნენ და ყოველს ფეხის ნაბიჯზე ამარცხებდნენ. ამათი გვამები გერმანიის მთავრობამ დიდის ამბითა და პატივისცემით ჩააბარა საფრანგეთის წარმომადგენელს და ყოველი ღონისძიება იხმარა საფრანგეთს მოსწონებოდა. ამ სამის გვამის გადატანაზე დაესწრნენ ჯარებიც. მაგდებურგის სასტუმროები და სახლები, სადაც საფრანგეთის წარმომადგენელნი დაბინავდნენ, მორთეს საფრანგეთის დროშებით. ერთის სიტყვით, გერმანიამ, რითაც შეიძლო, ასიამოვნა საფრანგეთს.

ეს ამბავი იმის ნიშნად მიაჩნიათ, ვითომ გერმანია დრომდე ურიგდება საფრანგეთს, და ამიტომ ამის შესახებ დიდი ლაპარაკი აქვთ. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, უეჭველია ევროპის საპოლიტიკო მდგომარეობაც აიდგამს ფეხს და გერმანია თავისის მოკავშირეებითურთ უფრო თამამად იმოქმედებს, რაკი საფრანგეთი თავს არ გამოიდებს იმის წინააღმდეგ.

ე. ი.

ახალი ამბავი

⁂ ხვალ, კვირას, ფერიცვალობა დღეს, ტფილისის პირველის კლასის ფერიცვალობის მონასტერში (ავლაბარში, დარიის მონასტერში) სწირავს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პალადი თანამწირველობით გორის ეპისკოპოსის ალექსანდრესი და სოხუმის ახალის ეპისკოპოსის ალექსანდრესივე. წირვის შემდეგ მისი მეუფება ინებებს მონასტრის გარშემო ლიტანიას. მონასტერში, გალავნის კარებთან, მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მიეგებებიან შესამოსლით წინამძღვარი მონასტრისა არქიმანდრიტი კესარიოსი და ბერები და აქედგან გალობით გაუძღვებიან ეკკლესიაში.

⁂ ტფილისის პირველ კლასსიკურ გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება მარიამობისთვის 21 და გასტანს ორს დღეს, ე. ი. 21 და 22 ამ თთვისას. ამავე 21 მარიამობისთვიდგან ამ გიმნაზიაში დაიწყება ხელ-ახლად გამოცდა ზოგიერთის მოწაფისა და გასტანს ამ თთვის ოცდა-რვამდე.

⁂ ქალაქში გავრცელდა ხმა, ვითომ ტფილისში მიუღიათ დეპეშა, რომლითაც აცნობებენ, რომ თხოვნა გამომძიებლად ნამყოფის ა. ხოსროევისა, რომელსაც ცეცხლის წაკიდების გამო გადაწყვეტილი აქვს რვა წლით კატორგა, სენატმა არ შეიწყნარა და ტფილისის ოლქის სასამართლოს და პალატის გადაწყვეტილება დაამტკიცაო.

⁂ ამ სამის კვირის წინად ბორჯომში ავად გახდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, რომელსაც კისერზე რაღაცა მუწუკი ამოუვიდა, დაუსივდა თურმე მთელი ყელი და სუნთქვას უშლიდა. ტფილისიდგან დაიბარეს მაშინვე ექიმი კარპენჩენკო, რომელმაც ავადმყოფს გაუჭრა დასიებული ყელი და დაიხსნა საშიშროებისაგან, მაგრამ ავადმყოფი მაინც ვერ მობრუნდა. ამიტომ ტფილისიდგან დაიბარეს მეორე ექიმი, ბ-ნი მინკევიჩი, და მას აქეთ ორნი სწამლობენ. ამ ჟამად, როგორც შევიტყეთ, ბ-ნი იანოვსკი უკეთ არის თურმე.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანაშემწეს, ბ-ნ ჩაიკოვსკის, ხელი მოუწერია ტფილისის საბჭოს დადგენილობაზე იმის შესახებ, რომ კვირაობით დაიკეტოს ყველა დუქანი და მაღაზიები გარდა სანოვაგის დუქნებისა. ეს ქაღალდი ბ-ნმა გუბერნატორის თანაშემწემ უკვე გაუგზავნა უკან ტფილისის ქალაქის თავს, ბ-ნს მატინოვს, რომელმაც აცნობა ტფილისის პოლიციას. პოლიციამაც განკარგულება მოახდინა, რომ ხვალიდგან ქალაქის საბჭოს დადგენილობა შესრულებულ იქმნას ხოლმე. პოლიციის ბოქაულებს უკვე გამოუცხადებიათ ეს განკარგულება ვაჭრებისათვის.

⁂ **ღ. ცხინვალი:** წარსულის თთვის 25-ს აქ იყო გორის მაზრის უფროსი. აქვე უფროსის ბრძანებით იყვნენ მოგროვილნი ყველა სოფლის მამასახლისები. ამ თავ-მოყრილს ხალხს უფროსმა გამოუცხადა, რომ რადგანაც ამ შემოდგომაზე ქ. ტფილისში სამეურნეო გამოფენას ჰმართავენ, ამიტომ, ვისაც ჰსურს, უნდა წარმოადგინოს ორ გირვანქამდე ქირნახული სანიმუშოდ და აგრეთვე ხელოვნების ნაწარმოებნი. საუბედუროდ, რადგანაც გამოფენის მნიშვნელობა და მიზეზი არ იყო ხეირიანად ახსნილი და განმარტებული, ამიტომაც ხალხმა უფროსის ბრძანება სულ სხვანაირად მიიღო. გლეხები იძახიან, სწორედ ხარჯი უნდა მოგვიმატონო, და ძალიან შეფიქრიანებულები არიან. ამიტომ კარგის მოსავლის მაგიერ სულ უკანასკნელი ცუდი მიწის მოსავალი წარვადგინოთო; ზოგი იძახის, ღვარძლიანს პურსა და ქერს წარვადგენთო. თუ ასე მოჰხდა, მართლა სასაცილო იქნება. საჭიროა სანამ დრო არის, ხეირიანად გააგებინონ ხალხს გამოფენის მნიშვნელობა.

შემდეგ ამისა უფროსმა გამოუცხადა შესახებ ცხინვალის ხიდისა და თანაც მოიყვანა ერთი განთქმული ხიდის ოსტატი ივანე ციცქიშვილი. ამ ოსტატმა გასინჯა და სცნო, რომ უეჭველად ხიდი უნდა გამოიცვალოს, რადგანაც ძველის გადაკეთება ყოვლად შეუძლებელიაო. რაკი ცხინვალის მცხოვრებლებსა იმდენი შეძლება არა აქვთ, მაზრის უფროსმა უბრძანა სოფლების მამასახლისებს და წარმომადგენლებს, რომ ცოტაოდენი მაინც შემწეობა გაეწიათ ახლო მახლო მცხოვრებლებსაც ამ სახით ხიდის ბედი-იღბალი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. უფროსი დაჰპირდა, კიდევ მოვალო და მაშინ გამომიცხადეთ ვინ ანუ რომელი სოფელი რა შემწეობას გაიმეტებს ხიდის გასაკეთებლადაო. იმედია, მაზრის უფროსის მეორე ამოსვლაზე ხიდის საქმე გადაწყდება.

⁂ **სოფ. ქედა (აჭარა):** ამას წინედ ზედა-აჭარიდგან მილიციელებს მიჰყავდათ ბათუმში ერთი ყაჩაღი, თოკით შეკრული. გზაზე ამ მილიციელებს დაჰხვდა სოფ. დონდალოდგან გავარდნილი ყაჩაღი მოლა-ლომონ-არზონ-ოღლი, რომელსაც თან ახლდა ოციოდე ამხანაგი ყაჩაღი. ამ ყაჩაღებმა მილიციელებს ის თოკით შეკრული კაცი წაართვეს. საწყალი მილიციელები დაღონებულნი უკანვე დაბრუნდნენ. გზაზე წამოეწივნენ ქედა-აჭარის სამმართველოს საქმის მწარმოებელს და მწერალს ანდრია საყვარელიშვილს და შესჩივლეს, მოლა-ლომონ-არზონ-ოღლიმ ყაჩაღი კაცი წაგვართვაო. ესენი ყველანი ერთად ავიდნენ დონდალოს მეჩითში, კაცები მოაგროვეს და კვალ-და-კვალ მისდიეს მოლა-ლომონს, მაგრამ ათიოდე

ფელეტონი

თელავის ამბები

მოგეხსენებათ, რომ სუფთა ჰაერი ადამიანისათვის ისევე აუცილებლად საჭიროა, როგორც პური და წყალი, მეტადრე იმ ქალაქისათვის, სადაც სივიწროვეა და მცხოვრებთა რიცხვი დიდია.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ყოველი ქალაქი, სადა-კი თვით-მმართველობაა, გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ისეთს ალაგებს, რომელიც ან ბაღად შეიძლება გაკეთდეს, ან მეიდნად, ან სასეირნოდ, კიდეც იძენს კერძო კაცებისაგან ამ გვარს ადგილებს, აკეთებს ხეივნებს, რათა ქალაქში უკეთესმა ჰაერმა იმუშაოს და სიცხისა და სივიწროისაგან შეწუხებულმა მცხოვრებლებმაც საღამ-საღამოობით სული მოიბრუნოს...

ჩვენს თელავსაც აქვს ერთი ამ გვარი ალაგი, რომლის შეძენაც ქალაქისათვის აუცილებლად საჭიროა. ეს ალაგი გახლავსთ „ნადიკვარი“, რომლის სიტურფე არა ერთხელ ყოფილა გაზეთებში აწერილი იმ მხრით, რომ ეს ერთად-ერთი ალაგია თელავში, საიდამაც კაცს თვალ-წინ გადაეშლება თვალ-გადუწვდენელის კახეთის კეკლუცი ბუნებაო.

ზემოხსენებული „ნადიკვარი“ ისეთივე ადგილი იყო თელაველებისათვის, როგორც ტფილისელებისათვის «მუშტაიდია», მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მუშტაიდში წამსვლელ ტფილისელებს გზის ფული ეხარჯებათ და ნადიკვარი-კი ისე ახლო და დასამხარ ადგილზეა, რომ თვით დავრდომილ მოხუც თელაველსაც-კი არ გაუჭირდება გასეირნება. ყოველ საღამოობითაც სავსე იყო ნადიკვარი მოსეირნე ხალხით, ხოლო ეს ერთი წელიწადია, რაც ეს ალაგი შელობა პატრონმა თ. დიმიტრი ვახვახიშვილმა და ამით მოესპოთ თელაველებს ამ მშვენიერ ადგილას სეირნობა...

თელავის მცხოვრებლებმა აშკარად იგრძნეს, რა ადგილი მოაკლდათ. ეს იქიდგანაცა სჩანს, სხვათა შორის, რომ, თუმცა ძეძვით იყო „ნადიკვარი“ შელობილი, უშლიდნენ კიდეც შიგ სეირნობას, მაგრამ ზოგიერთნი, წინაამდეგ პატრონის კანონიერის მოთხოვნილებისა, მაინც არ იშლიდნენ, გადადიოდნენ შიგ და სეირნობდნენ.

დღეს ხმა დადის, რომ „ნადიკვრის“ პატრონი თ. დ. ვახვახიშვილი ჰყიდის ამ ადგილს, თუ ვინიცობაა ერთიანად მყიდველი აღმოუჩნდება ვინმეო. თუმცა თელავი იმ მადლს მოკლებულია, რომელსაც „თვით-მმართველობა“ ჰქვიან, მაგრამ მაინც საჭიროა ამაზე იზრუნონ ჩვენმა დეპუტატებმა და ქალაქის ღარიბ ჯიბიდგან კიდევ მოჩხრიკონ იმდენი, რომ ეს ძვირფასი და ქალაქის მცხოვრებთა აუცილებლად საჭირო ალაგი შეიძინონ და გადააქციონ სასეირნო ხეივნად, რომელიც გვირგვინი იქნება მთელის თელავის სიტურფისა! თორემ თუ კერძო კაცის ხელში გადავიდა და ქალაქმა ერთხელვე ხელიდგან გაუშვა, მეორედ დაჭერა მისი ძლიერ ძნელი-ღა იქნება...

წარსულის წლის საქალაქო საზოგადო კრებაზე აწ უკვე დეპუტატად მყოფ პატივცემულ მ. თათუზოვის წინადადებით — ეს ამბავი „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული — ქალაქმა ერთ-ხმად გადასწყვიტა: შემოეღოთ თელავში „თვით-მმართველობა“ და დაავალა თავის დეპუტატებს საზოგადო კრებამ: რათა დაუყოვნებლივ ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე რომ თელავისთვისაც მიენიჭებინათ ისეთივე თვით-მმართველობა, როგორიც არის თერგის სათემოში ქ. გეორგიევსკში (საბჭო უგამგეობოდ). მას აქეთ აგერ რვა თთვეზე მეტია და ბატონი ახალი დეპუტატები ჩამი ჩუმშიაც არ არიან!.. ბოროტი ენები ლაპარაკობენ, ვითომ ერთი მათგანი წინაამდეგიც არის თვით-მმართველობისაო, მაგრამ ჩვენ ეს არა გვჯერა და ან რა დასაჯერია? ნუ თუ ქალაქი იმისთანა შეუგნებელსა და გონება-დაბნეულს ადამიანს ამოირჩევდა თავის წარმომადგენლად? ეხლანდელ დროში ვინ არ იცის უბრალო ჭეშმარიტება, რომ, გერიეით სხვის ხელში ყოფნას და თავის ავ-კარგიანობის უცოდინარობას, თავისს თავს და თავისს საქმეს თითონ რომ მოჰკიდოს კაცმა ხელი და შეძლებისადა გვარად თავის ნებაზე განაგოს, ათასჯერ უკეთესი იქნება, მეტადრე თუ იმასაც მივიღებთ სახეში, რომ რაც დღეს ქალაქის ფული და სხვა ქონება იკარგება მოუვლელობით, იმისი მეოთხედი ხარჯიც არ დასჭირდება თვით-მმართველობას და ამასთანაც ათჯერ უკეთ წასწევს წინ ქალაქის მცხოვრებთა კეთილდღეობას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი რას უზამდა ოცს თავ-გამოდებულს და კარგად შეიარაღებულს ყაჩაღს. ამ მოლა-ლომონ-არზან-ოღლის მთელი ფუხარა ხალხი შეწუხებული ჰყავს: ზოგსა ჰკლავს, ზოგს ძროხასა და ხარს უკლავს და თავისს ამხანაგს უმასპინძლდება. ზოგსაც ქალებს ართმევს და ათ-თორმეტს დღეს თან ატარებს.

*** **ოზურგე: სოფ. მანდიაში** ერთ-ნაირი ბავშვების ავადმყოფობა გაჩნდა და ამ გარემოებამ სოფლელები ძალიან შეაწუხა. ბავშვს ერთსა და იმავე დროს აუვარდება ხოლმე მუცლისა და თავის ტკივილი და თუ ათს დღეს გადააცილა, იმისი მორჩენა ძალიან საეჭვო იქნება.

*** დღეს ჩვენი მკითხველები წაიკითხავენ ჩვენს გაზეთში სასამართლოს მატიანეს სტავროპოლში მოკლულ განსვენებულ დიმიტრი ივანეს ძეს ყიფიანის შესახებ. დამნაშავე, სამსახურს გარეშე მყოფი გრიგოლ მაკარის ძე სტრეპეტოვი, 45 წლისა, უკვე ყველა ქონებრივ უფლებას ჩამორთმეული, სასამართლომ დამნაშავედ იცნო, რომ ავაზაკებურად დაეცა სტატსკი სოვეტნიკის დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის სადგომს სხვა, აწ უკვე მკვდარ, ამხანაგითურთ და გაძარცვა და მოკლა ყიფიანიო, და გადუწყვიტა ყოველისავე ქონებრივის უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა თორმეტის წლით. ეს ამბავიცა და ქვემოდ დაბეჭდილი სასამართლოს მატიანეც გაზ. „ჩრდილოეთის კავკასიიდგან“ მოგვყავს.

*** გამოვიდა და ისყიდება ქართული ალმანახი „ცდა“. წიგნი ღირს ათი შაური. ის ფული, რომელიც შემოვა ამ გამოცემისაგან, დანიშნულია შემდეგის ალმანახისთვის. მსურველთ შეუძლიანთ წიგნიდაიბარონ ამ ადრესით: ქუთაისის სააზნაურო სკოლის მასწავლებელს ალექსანდრე გარსევანაშვილს. იმისსავე სახელზე უნდა გამოიგზავნოს სტატიები მეორე წიგნისთვის. სტატიისთვის სასყიდელს ვერავინ მიიღებს («მწყემსი»).

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ პ. უვიცარიძე აპირებს დაბეჭდვას ერთის პაწაწა წიგნისას, რომლისთვისაც სახელად დაურქმევია «გრამატიკული თავთავები». ამ წიგნაკის შინაარსი გამოკრებილია თურმე მისისავე „სწორმეტყველებიდგან“, და გამოსადეგი იქნება მარტო სამზად კლასებში პატარებისთვის. თითონ «სწორმეტყველება» კი ჯერ ვერ დაიბეჭდებაო სიდიდის გამო: ავტორს ის წიგნი შეუმუშავებია და შეუვსია და თუ როდისმე დაბეჭდა, ორისავე ნაწილის ერთად დაბეჭდვა სურს.

*** პოლიციის 1-ლ განყოფილებაში 2 მარიამობისთვეს, ვერაზე, ესე დილის 11 საათზე, ვლადიმერ პისარენკოს სახლში ვიღაც ქურდი გადავიდა ღია ფანჯრიდამ და მოიპარა ოქროს საათი, 45 მან. ღირებული. გამოძიება სწარმოებს.

*** მარიამობისთვის ღამე მე-9 განყოფილებაში მიხეილის ქუჩაზე, მადერის სახლში, № 104 აგრონომის მიხეილ პანკევიჩის სადგომიდამ ვიღაცამ მოიპარა 51 მან. ფულად, ერთი სერთუკი და ერთიც შარვალი, სულ 90 მან. ქურდი შეპარულიყო ღია ფანჯრიდამ. გუმანი არავისზე მიტანილი არა აქვს გაქურდულს. გამოძიება სწარმოებს.

◆◆

მოგზაურობა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პალადისა

ვარძიაში

წარსულის თთვის 17-ს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი პალადი, მობრძანდა ახალ-ქალაქში, საიდგანაც მეორე დღეს, დილის 8 საათზე, გაემგზავრა ვარძიაში. მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას აზრად ჰქონდა დაეთვალიერებინა ქუმურდოს და წუნდის ეკკლესიები, რომელნიც თავიანთის მშვენიერებითა და ხუროთ-მოძღვრებით ღირს შესანიშნავ ეკკლესიებად ითვლებიან მთელს მესხეთსა და ჯავახეთში. ქუმურდოს ეკკლესია ძალიან მოიწონა მისმა მეუფებამ და ბრძანა: დიდად ვსწუხვარ, რომ ეგ ეკკლესია არ დაცულა და მტერს აუოხრებიაო. ადგილობრივ სომხის მღვდლებსაც მისცა დარიგება, ყური უგდონ და რაც დარჩენილა, ისიც არ დაანგრევინონ. თერთმეტის საათის დასაწყისი იყო, როცა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ქუმურდოდგან ვარძიის მონასტერში გაემგზავრა. გზაგზა მრავალი ხალხი შეგროვილიყო ახლო-მახლო სოფლებიდგან: კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, მოუთმენლად ელოდა ლოცვა-კურთხევა მიეღო. მისს მეუფებას თან ახლდნენ ახალ-ქალაქის მაზრის უფროსი, ბოქაული ბ-ნი ჩ—ძე და პოლიციის მოხელე მუსტაფა-ბეგი ბ-ნი ფალავანდიშვილი ასზე მეტის ცხენოსანით. ქურთებსაც თავიანთი დროშა გამოეგებებინათ. ვარძიის გზა თუმცა გააკეთეს, მაგრამ მაინც საშიში და ძნელი სავალი იყო: ბევრს ადგილას ორ-ორი ცხენი ძლივს იმართებოდა და ბევრგანაც ეგზარხოსი იძულებული იყო ჩამობრძანებულიყო ეტლიდგან, რათა ეტლი ხელით გაეტანათ, რომ უფსკრულში არ გადავარდნილიყო. პირველი საათი სრული იყო, როცა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა აბრძანდა მონასტერში, სადაც შემოსილი მღვდელ-მონოზანი მ. სვიმონი დაუხვდა თავის კრებულით. პარაკლისის შემდეგ, როცა ხალხი ჯვარს ემთხვია და ეკკლესიაში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ეგზარხოსმა ღირს სახსოვარი სიტყვა წარმოსთქვა:

> სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა... მე დიდად მოხარული ვარ და ვმადლობ უზენაესს, რომ მან ღირს მყო და მომცა შემთხვევა მენახა ეს უდიდესი და უძველესი მონასტერი-ვარძია. დიდად მოხარული ვარ, რომ სისხლითა და მხურვალე ცრემლით აშენებული მონასტერი, რომელიც ოდესმე იფარავდა არა ერთსა და ორს ათას კაცს შეუბრალებელ მტრისაგან, ცოტაოდნავ კიდევ დაცულა და გვაძლევს საშუალებას დავაფასოთ შრომა-მოღვაწეობა ქართველ მეფეებისა და ქართველების მხნეობა და ქველობა. როგორც ეს მონასტერი და ეკკლესიები, ისე მრავალნი სხვანი არიან საქართველოს დაუვიწყარნი ძეგლნი. ივერიას თავი უნდა მოსწონდეს ამით. მთელის დედამიწის ზურგზე ძნელად მოიპოვება იმისთანა ღვთისაგან ნაკურთხი მხარე, რომელსაც დაეტოვებინოს იმდენი მართლ-მადიდებლობის ნაშთი, რაოდენსაც ჩვენ ვხედავთ საქართველოში. კურთხეულ იყოს ეს მშვენიერი მხარე, კურთხეულ იყოს მისი ერი! ვსთხოვ ყოვლად შემძლებელს, რათა მან კვლავ მისცეს ძალა ქართველებს, რომ მათ თავიანთ წინაპართა ძვირფასნი ნაშთნი შეაკეთონ და მართლ-მადიდებლობა დაიცვან ისე, როგორც დღემდე დაუცავთ. ამინ!“

სიტყვის შემდეგ ეგზარხოსმა გამოჰკითხა მონასტრის მდგომარეობა და სთხოვა სურათები აეხსნათ, ვინ-ვინ არის ის სურათები, რომლებითაც მთელი ეკკლესიის კამარა და კალთები მოფენილია. ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ არავინ აღმოჩნდა იმისთანა, რომ ეკკლესიის კანკელის მოუხერხებლობა აეხსნა და ეთხოვნა იგი გამოეცვალათ. კანკელი ამ ახლო ხანში გააკეთებინა ერთმა ბერძენმა ჰაჯიამ, იმ ჰაჯიამ, რომელმაც მონასტერი პირველად დაასუფთავა და დიდი შრომა დასდო. მხოლოდ კანკელის მხატვრობა ბერძნულია, ისიც დაბალის ღირსებისა, და სხვა მხატვრობას არ შეჰფერის. სადილს შემდეგ მისმა მეუფებამ ცოტა მოისვენა და ხუთ საათზე ახალ-ქალაქს დაბრუნდა, საიდგანაც, მეორე დღეს, ბორჯომის გზით ტფილისს გაემგზავრა.

ექ. მ—ძე

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გორი, 1 მარიამობისთვე. გორელებს დიდის ხნის ლოდინი შეგვისრულდა: აირჩიეს ხმოსნები მომავალის ოთხის წლისათვის და ეხლა ჯერი მიდგა ქალაქის თავის ამორჩევაზედ, მაგრამ ვიდრე ამაზედ ვილაპარაკებდე, საჭიროდ მიმაჩნია ხმოსანთა ამორჩევაზედ ორიოდე სიტყვა ვსთქვა და დავასახელო ისინი, ვინც აღირჩიეს.

ამ ხნობამდის ოც-და-ათს ხმოსანს ირჩევდნენ და რადგანაც აღმომრჩეველთა რიცხვმა იმატა, ხმოსანთა რიცხვსაც წაუმატეს და წელს აირჩიეს ოც-და-თექვსმეტი. ამომრჩეველნი სამს ხარისხად არიან გაყოფილი. პირველ ხარისხის ამომრჩეველნი ძალიან ცოტანი არიან, მეორე ხარისხისაში სულ სამოც-და-თორმეტი აღმომრჩეველია, მესამეში-კი სამასზედაც მეტი.

პირველ ხარისხის ხმოსანთა არჩევანი იყო მკათათვის ათში და აირჩიეს თ. რევაზ შ. ერისთავი, თ. მ. რ. ერისთავი, სომეხთა მღვდელი დეკანოზი ტერ-სტეფან ტერ-სტეფანოვი, გრიგ. ბ. დავიდოვი, გრ. ან. ზუბალოვი, ი. გ. სააკოვი, სულ. ზ. ლამბაროვი, სტ. ყუზანოვი, გრ. დ. ლოლაძე, ის. ამირაღოვი, დ. ქიტიაშვილი და გ. რამანოვი. ამ თორმეტში ექვსი ქართველია და ექვსიც სომეხი. კენჭი სულ ცამეტს კაცს უყარეს.

მეორე ხარისხის ხმოსანთა არჩევანი იყო მკათათვის თორმეტში. კენჭი უყარეს ოც-და-ათს კაცს; 72 აღმომრჩეველთაგან მოვიდა სულ 18-ი კაცი. აირჩიეს თ. ნ. დ. დიასამიძე (16 თეთრი 1 შავი), ს. ზ. მგალობლიშვილი (11—7), მ. გ. ტერ-აკოფოვი (13—5), კ. ი. შეფვი (14—4), ი. ალიხანოვი (17—„), დ. სარქისოვი (11—7), კ. ი. გაუსმანი, დ. გ ტერ-სტეფანოვი, გრ. გ. ტერ-აკოფოვი (10—8), ზ. ს. დონდაროვი (11—7), პ. დ. აბუევი (11—7) და ნ. ჭულაბაშვილი. ამ თორმეტში მოჰყვა: სამი ქართველი, შვიდი სომეხი და ორი გერმანელი.

მესამე ხარისხის ხმოსანთა არჩევანი იყო თოთხმეტს მკათათვისას. სულ მოვიდა ამ დღეს სამოც-და-თერთმეტი ამომრჩეველი და კენჭი უყარეს სულ 17-ს კაცს.

აირჩიეს შემდეგი მ. გ. გაბუნია (43—28), ა. ი. ანდრონიკოვი (40—31), ჩ. რ. მოსტოვიჩი (52—20), ი. გ. ძამოევი (44—28), ნ. ნ. ხოჯაშვილი (49—22), ზ. ხითაროვი (40—31), ა. ს. ყიფშიძე (46—25), გ ს. დონდაროვი (40—32), ფ. ხუდადოვი (41—30), ა. დ. ზუბალოვი (43—28), მ. სვგმანოვი (39—32) და გ. ს. ჯაფარიძე (41—27). ამ თორმეტს ხმოსანში ხუთი სომეხია, ერთი პოლონელი და ექვსი ქართველი.

ასე გათავდა არჩევნები. ამ არჩევნებს რა გვარი ხრიკები და ოინბაზობა მიუძღოდა წინ ზოგიერთ არა წმინდა კაცის წყალობით, საჭირო ითქვას რამე. ამომრჩევლებს, რასაკვირველია, შეადგენს ორი ხალხოსნობა: ქართველი და სომეხი. სხვა-და-სხვა გაიძვერა ვაქბატონის წყალობით ეს ორი ერთ-ბედიანი ხალხი ერთმანეთს დაამტერეს. ერთი ერთმანეთის ღვთის წყალობა ღვთის რისხვად მიაჩნდათ. ამ ქამად-კი ამ მიმართულებამ ცოტა არ იყოს ფერი იცვალა. ამას წინად გორის საბჭოში სულ ოთხი-ხუთი ქართველი ირჩეოდა ხმოსნად, ისიც დიდის გაჭირებით. იმისთანა კაცებს, რომელთაც ან სიტყვა უჭრით, ან ჭკუა შესწევთ და რომელნიც თავისის პატიოსნებითა და უანგარობით ცნობილნი არიან, აშავებდნენ და გზას არ აძლევდნენ, აშავებდნენ იმიტომ, რომ სხვა ხალხს ეკუთვნოდნენ. ბურთიც მაშინ იმათ (გამშავებელთა) ხელში იყო და მოედანიც. ჩუმად, იდუმალად ჰქადაგებდნენ, ავრცელებდნენ მეორე ერის სიძულილს და მიწასთან გასწორებას. მაგრამ „არა არს დაფარულ, რომელი არა გამოცხადნეს“, ამბობს სახარება. ესეთმა იდუმალმა ქადაგებამ ფეხები გამოჰყო, შუბი ხალთაში ველარ დამალეს და მეორე მხარედამაც შემოესმათ: ჩვენც კაცნი გვქვიან და ქუდი გვხუ-

---

როგორც უკვე მოხსენებული იყო გაზეთში, ყვარლის დრუჟინა დაემკვიდრა სამუდამოდ თელავში და დიდის ხნის შემდეგ საერთო სურვილი თელაველებისა ასრულდა, მათი გული დაარხეინდა.

მე მინდა ეს საერთო სურვილი გავსჭვრიტო და ორიოდე სიტყვით შევეხო, ვისთვის რა სასურველი სარგებლობა მოიტანა დრუჟინამ და ან ვინ როგორ დაუხვდა.

ა) მოვიდა თუ არა დრუჟინა, თელავის მოვაჭრეთა შორის ვაჭრობა გაცხოველდა და შესამჩნევად იმატა.

ბ) ბაზარში ხორაგეული დაძვირდა და ღატაკ ხალხს უფრო ძვირად უჯდება ცხოვრება, მეტის შემატება-კი არა სჩანს.

გ) ყოველ სალამოობით მუსიკამ დაიწყო გაუწყვეტლად გრიალი და მთელი გროვა ხალხისა და მომეტებულად დედათა სქესი მიიწრაფვება და მიიმტვრევს თავ-პირს მუსიკის მოსასმენად. ვისაც პურის ფული არ გააჩნია, ქმარს ვალებს აღებინებს: «მოდაზე შეუკერავის კაბით სირცხვილია ამდენ ხალხში გავლაო», და ამ გვარად გამოპრანჭულებს სახლში გული აღარ უდგებათ...

დ) შემოიღეს საზოგადო და რიგ-რიგად სადილები (ასე რომ საჩხერეც ველარას დაგვცინებს ეხლა ჩვენ!!) ამ გვარად უმისოდაც გაძლიერებულმა ქეიფმა და ლხინმა უფრო ფართო გზა გაიხსნა. ქეიფსა და ლხინს მოჰყვა დაუსრულებელი ლოთობა, რომელიც ხშირად იმითი თავდება, რომ ბახუსის თაყვანის ცემით ატაცებულნი ერთმანეთს თავ-პირს ალეწენ და ამტვრევენ!!.

აი ეს გახლდათ და გახლავსთ ჩვენი საერთო სიხარული!

მგონია მკითხველი ცხადად დაინახავს, თუ ვისი საზარალო, ან სასარგებლო უნდა იყოს ბოლოს დრუჟინის თელავში დამკვიდრება. ჯერ-ჯერობით ასეა და თუ ასე წავიდა საქმე შემდეგაც, ენახავთ ვინ უნდა იცინოს და ან ვინ უნდა იტიროს...

გაზეთებში თელავის ბაზრის უწესოების გამო ბევრჯელ ყოფილა დაწერილი და ყოფილა დაწერილი აი რა: ნიხრი არ გააჩნიათ, ყოველის-ფერს თავის სურვილზე ჰყიდიანო... ხორაგეულს და იმის საწყობებს მეტად ბინძურად ინახავენ, ხშირად და ძლიერ ხშირადაც უვარგისსა და აყროლებულს ხორცეულს ჰყიდიან მცხოვრებლებზედაო... მომეტებულს ნაწილს ბაზრის მოვაჭრესას არ გააჩნია სწორი საწონ-საზომი და საწყაოვო... ბაზარში შემოტანილს ხორაგეულს მცხოვრებლებზე წინად ჩარჩ-მოვაჭრენი ყიდულობენ, მაშინ-როდესაც მთელის იმპერიის ქალაქებში არსად ნებას არ აძლევენ ამ გვარ მოვაჭრეთ ბაზარში იყიდონ რამე თორმეტ საათამდე მაინცაო... და სხვანი და სხვანი სამწუხაროდ, ყოველ ამ უწესოებაზე ჩივილი სიმართლეს არ არის მოკლებული და უწესოება დღესაც ამოფხვრილი არ არის, თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ, როდესაც ჩვენის ქალაქის ბოქაული ბ ნი აველტიქიანცი შარშან პირველად მოვიდა, სასტიკი ყურადღება მიაქცია ზოგიერთ აქ ნაჩვენებ უწესოებას, მაგრამ მაინც კიდევ ჯერ შორს არის ცოტაოდენის წესიერების დამყარებაც. ამისათვის კიდევ გვინდა მივაქციოთ ამ საგანს ჩვენის ადმინისტრაციის ყურადღება. საჭიროა, რომ ამ ხნობით მაზრის ექიმი კვირაში ორჯელ მაინც სინჯავდეს თელავის ბაზარს: ხორცეულს, მეთევზეთა საწყობს, პურის საცხობებს, მეხილეების დუქნებს, და საჭმლისას, რათა ამ ზომით შეაყენოს დამპალი ხორაგეულის შემოზიდვა და მცხოვრებლებზე გასაღება.

დასასრულ ერთი სიტყვა ნიხრზედაც: დიდი ხანი არ არის, რაც მაზრის სამმართველომ ერთი ახირებული საქციელი შემოიღო—ნიხრის რუსულად შედგენა და გაკვრა ერთად-ერთს სასწორის ბოძზე... არავისთვის დაფარული არ არის, რომ თელავში და იმის მაზრის გარშემორტყმულ მცხოვრებთა შორის, რომელთაც განუწყვეტლად აღებ-მიცემობა აქვსთ თელავის ბაზარში, სამი ათასში ერთმა არ იცის რუსულს ენაზე კითხვა და ლაპარაკი!..

ისიც ცხადია, რომ თელავის მაზრაში ძალიან ნაკლებად არის იმისთანა რუსი, რომელმაც ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა არ იცოდეს და ამას შემდეგ, ნეტა ვისთვის არის საჭირო თელავში ასეთის განცხადების და მეტადრე ნიხრის შედგენა და გამოფენა?!.

მე მგონია, საზოგადოდ განცხადება და ნიხრი იმიტომ იწერება, რომ უმრავლესობამ გაიგოს შიგ მოხსენებული და არა თითო-ოროლამ!..

მეთვალყურე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაცხო. რახან ძმობას არ იმშვნევთ, გულ-უხვ მასპინძლობისათვის პანღურს გვიპირობთ, მეტი რა ღონეა, ჩვენც თავს მოვიფხანთ და „ვინძი უფრო დაზიანდესო“.

ამ არჩევანების დროსაც დაიჩარჩნენ, რომ ისეთი კაცები გაეყვანათ ხმოსნებად, რომელთაც საითაც ჰსურთ, იქით უხმევნ თავსა. ბევრი იყაყანეს, იოინბაზეს, რომ ხმოსნებად არ გასულიყვნენ ზოგიერთი ქართველები. ეს დაფარული და დამალული არავისთვის იყო. მთელმა კრებამ შეიტყო, თვით ქალაქის თავმა მიაქცია ამას ყურადღება და ძალიანაც შესწუხდა. პირდაპირ ჰყვიროდნენ: „არ გვინდა ანდრონიკაშვილი, არ გვინდა ჯაფარიძე, არ გვინდა გაბუნიაო“. ესენი ვინ არიან? ქართველები. ვინა ჰყვიროდნენ ამათ წინააღმდეგ? სომხები. სასაცილოა ეს მოვლენა, რომ ამასთანავე სატირელი და სავალალოც არ იყოს. ამისთანა მითქმა-მოთქმამ ხალხში აყალმაყალი გამოიწვია. მეორე მხარემაც ხმა ამოიღო. თავისებს დაუწყო სარჩლი. ამ უგვანმა ქადაგებამ ზოგიერთის თავხედისამ იძულებულ ჰყო მამა დეკანოზი ტერ-სტეფან ტერ-სტეფანიანცი, რომ მოკლე დარიგება მიეცა, თუ როგორი კაცებია საჭირო საბჭოსათვის. „ჩვენ ყველანი დღეს ერთნი ვართ; მეზობლები ვართ; ჩვენ არ უნდა მივხედოთ პირადობას, უნდა დავეკითხნეთ სინიდისს და მისის ჩვენებით ავირჩიოთ სასარგებლო კაცები, ისეთი კაცები, რომელთაც ნამდვილად გული დაეწვით, გული შესტკივათ ქალაქის კეთილდღეობისათვის“. ამ გვარი იყო მამა ტერ-სტეფანეს სიტყვა, რომელმაც ხალხი ჩააფიქრა, გონს მოიყვანა იმ უგვანის და თავხედურის ლაპარაკის შემდეგ, რომელიც იმას ესმოდა არა წმინდა ვაჟბატონებისაგან. ამასვე ეუბნებოდა ხალხს კერძოდ ბ-ნ ექიმი სააკოვი, რომელიც „Новое Обозрѣніе“-ს მოამბემ სასაცილოდ აიგდო, უწოდა რა ამ ყველასაგან პატივცემულს და საზოგადოების სიყვარულით დამსახურებულს ადამიანს «დოხტური». აი რას ეუბნებოდა ხალხს ბ-ნი სააკოვი, საცინლად აგდებული „Новое Обозрѣніе“-ს მიერ: „ნურავის გაუგონებთ, თქვენ თავს ჩაეკითხენით, ის ტყუილი მრჩეველები თქვენზედ არც ჭკუით და არც პატიოსნებით მაღლა არა სდგანან. ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ის სომეხია, ქართველია, კათოლიკეა. კარგი კაცი აირჩიეთ და თუ გინდ ლეკიც იყოს, ოღონდ-კი ქალაქის გამოსადეგი იყოსო“.

არ ვარგა კაცის საცინლად აგდება, როდესაც იმას სასაცილო არა დაუშავებია რა, საკადრისი არ არის. როგორც მამა ტერ-სტეფანემ, ისე ბატონმა სააკოვმა დიდი საქმე ჰქმნეს თავისის ლაპარაკითა და დარიგებით, თორემ ძალიან შესაძლებელი იყო საქმე მუშტის კრივამდე მისულიყო ორ ხალხს შუა. ამისთანა საქციელისათვის ისინი მადლობის ღირსნი არიან და არა გაკიცხვისა და საცინლად აგდებისა.

ალბად ამ კორრესპონდენციის ბრალი იყო, რომ მამა ტერ-სტეფანემ ქაღალდი შეიტანა გამგეობაში ხმოსნობიდამ განთავისუფლებაზედ. ჩვენ გვიკვირს, რომ ყურადღება მიუქცევია ამ ამბისათვის: საზოგადო მოღვაწე კაცს ბევრი მტერი ჰყავს და, რამდენიც ბევრი მტერი ჰყავს, იმდენად იგი გამახვილებულია, გამჭრიახად ჰმოქმედობს და ჰლაგმავს მტრებს. იმედი აქვს ყველას, რომ მ. ტერ სტეფანე უარს იტყვის თავის განზრახვაზედ.

ხალხის ცრუ-მრჩეველებმა, რათა გაეყვანათ თავისი აზრი, წამოაყენეს ისეთნი კაცნი, რომელნიც არავითარისამე აზრისა, არავითარისამე მიმართულებისა და არავითარისამე კაცურის კაცობის გამომხატველნი და წარმომადგენელნი არა ყოფილან და არც როდისმე იქნებიან. დაუდგეს ამ ყოვლად უვარგისებს ყუთები კენჭის საყრელად, მაგრამ დაინახეს-რა, რომ ხრიკები არ გაუვიდათ და კუდზედ ფეხი დაადგეს, მოეწვათ და გაშავებას ისევ კენჭის ყრაზედ უარის თქმა არჩიეს.

◆◆

უცხოეთი

საბერძნეთი. სამი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც საბერძნეთზე თითქმის ხმა არავის არ ამოუღია. ეს ქვეყანა ყველას მივიწყებული ჰყვანდა და ევროპას სულ აღარ ახსოვდა იმისი არსებობა. ამ სამის წლის წინად-კი, როცა აღმოსავლეთ რუმელიისა და საკუთარ ბოლგარიის ერთიანად შეერთებამ არეულობა და პატარა ომი გამოიწვია ბალკანეთში, საბერძნეთმაც დაიწყო ფაჩი-ფუჩი, წამოყელყელავდა და დიდის რიხით ითხოვდა, საერთა-შორისო უფლებაზე დამყარებული, რომ, თუ ბოლგარია გაძლიერდა და მიიერთა რუმელია, მე რაღა უკანონო შვილი ვარ, რომ არ მივიერთო ჩემს ჩრდილოდ მცხოვრებნი ბერძნები და იმათი მამულ-დედულიო. ოსმალეთისაკენ ნასროლმა ისარმა გასჭრა და ბებერმა ლომმა, რომელიც ევროპის კარებში დარაჯივით ჩასაფრებულა, მორთო ღრიალი, და არც ერთი ფეხის დადგმა არ დაანება იმ მიწა-წყლისა, რომელიც ოდესმე უკანონოდ, ძალ-მომრეობით დაუპყრია ევროპაში, რასაკვირველია, ბერძენთა, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, ბიზანტიელთა გაქელვით. საქმე კინაღამ ხმალზე მიდგა. პაწია საბერძნეთი, ღარიბი, მოუწყობელი, მცირე ჯარის პატრონი, რომელსაც სულ ერთი მილიონი მცხოვრებელი ძლივსა ჰყავს თავის საზღვრებ შორის (სახელმწიფო სამზღვრებ გარეშე ახლო-მახლოც და შორსაც ბლომად სცხოვრობენ ბერძნები), რას გააწყობდა ოსმალეთთან, რომელსაც ერთი მილიონი მარტო გაწვრთნილი და თითქმის საგანგებოდ შეთოფ-იარაღებული მხედრობა ჰყავს. საბერძნეთმა მეტად თავი გამოიდო, ბევრს ეცადა, მზადაც იყო სისხლად დაცლილიყო, ოღონდ-კი შემოიერთებინა თავისნი ძალით განშორებულნი ძმანი, თავისნი სისხლნი და ხორცნი მაკედონელნი, მაგრამ ვერას გახდა. ოსმალეთს გარდა, თვით ევროპა ჩაუდგა კრიჭაში, აეფარა წინ და ცალიერი მუქარაც-კი არ აკმარა, გაუგზავნა თავისნი უზარმაზარი ჯავშნიანი ხომალდები, ალყა შემოარტყა და შეუთვალა: თუ არ გაჩერებულხარ და შენს ქერქში არ დამდგარხარ, აგამტუტებთ ზარბაზნებითაო.

ცხადია, რათა ჰქმნა ასე ევროპამ: ევროპას საზოგადოდ და თითოეულ დიდს სახელმწიფოს კერძოდ თვალი ერთთავად აღმოსავლეთისკენ უჭირავს, იქითკენ, საცა ოსმალეთია, საცა კარია ევროპისა აზიიდამ და აზიისა ევროპიდამ, საცა იკეტება და იღება ხმელთა-შუა ზღვა, საცა ყველას უნდა ხელი ჩასჭიდოს რასმე და ფეხი მოიდგას. თვალხარბი ევროპა იმ ფიქრსა და მეცადინეობაშია, რომ ან მოტყუებით, ან ტკბილის სიტყვით და მოქარგულის ენით ოსმალეთი მობირებული ჰყვანდეს, გულ-მოგებული და მონადირებული. ზოგს იმის მემკვიდრეობის გარდა, იმის მხედრობაც უნდა იმსახუროს და ამისთვის ელაქუცება, საწყენს არას ეუბნება. კრიტის საქმეს დღესაც ევროპა ჰღუპავს თავის გულ-გრილობით, თავის სიხარბით. საცოდავი კრიტელები, ანუ, როგორც მათ ეძახიან კიდევ, კანდიოტები საშინელს გაჭირებაში არიან ოსმალოს მფლობელობისა და ბატონობისაგან, რამდენჯერმე აჯანყებულან, თავ-განწირულებით უბრძოლნიათ, სისხლისაგან დაცლილან და ღაღადით უთხოვნიათ ყველასაგან, შეგვაერთეთ ჩვენს თანამოძმე ბერძნებთან, მიეცით ჩვენი თავი საბერძნეთის სამეფოსაო. მაგრამ ძლიერს ევროპას ყურიც არ გაუბერტყია, ერთის სიტყვითაც არ უწყენინებია ოსმალეთისათვის. კრიტელები მუდამ ძლეულნი დარჩენილან და ბატონობა ოსმალეთისა ვერ მოუშორებიათ თავიდამ. როგორც ეტყობა, დღესაც ასეთი ბედი მოელის კრიტის აჯანყებას, იმიტომ-რომ დღესაც, როგორც 1858 წ. და 1866—67 წწ., ევროპას გული არა სტკივა ამ ერისათვის, არ ამბობს: მე რომ განცხრომაში განვისვენებ, არავის ბატონობაში არ ვიმყოფები, ჩემს თავს მევე ვპატრონობ, ნუ თუ ზნეობით მოვალე არა ვარ ვიზრუნო, რომ ას-ოცის წლის მონობაში ტანჯული ქვეყანაც ეღირსოს თავისუფლებას, მორჩეს სხვის შტიალსა და ფარფაშობასაო, არ ამბობს ამას ევროპა კრიტელების შესახებ, არ ამბობს იმიტომ, რომ მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონია, არ ამბობს იმიტომ, რომ თითონაც წილი უდევს იმ ცოდვაში, რომელშიაც ოსმალოა დღეს კრიტის შესახებ და იყო უწინ სერბიისა, რუმინიისა და ბოლგარიის შესახებაც.

როგორ უთხრას ინგლისმა ოსმალეთს: ულმერთობაა აგრე დაჩაგვრა, შენ რომ კრიტის ქვეყანასა ჰჩაგრავო, აიღე ხელი იმაზე, რაც ერთხელ უკანონოდ დაგისაკუთრებია, იმიტომ-რომ მაგ გვარი დასაკუთრება საწყენია ღვთისაცა და კაცისაცა; ცოდონი არიან ისინიც ამდენის მონობით, იტანჯებიან ისინიც სულითა და ხორცით; იკმარე ამდენს ხანს მტარვალობა, ბატონობა და მიეც ახლა ქვეყანას ის, რაც ღმერთმა აკუთვნა— მიეც თავისუფლებაო. ვერ ეტყვის ამას ინგლისი ოსმალეთს, იმიტომ-რომ თითონაც მაგისთანა მოვალეობაში სდგას ირლანდიის შესახებ, ინდოეთის შესახებ. ასევეა სხვა ძლიერი სახელმწიფოც ევროპაში და აი ოსმალეთიც არხეინად არის: ვინც ძლიერნი არიან, ისინი ვერას მეუბნებიან და საბერძნეთმა ათი ნოტაც რომ დასწეროს, რას დამაკლებსო, ამბობს გათამამებული. შემაძრწუნებელია და ამაღელვებელი ასეთი საქმე, მაგრამ რას იზამს ადამიანი. ჯერ კიდევ გლადსტონისთანა და ბაირონისთანა კაცთ-მოყვარე მოძღვარნი ცოტანი არიან და იმათს ღაღადს დიდი ძალა არა აქვს. ამ ღაღადმა ერთხელ-ორჯელკი გაიმარჯვა— მონები გაანთავისუფლა და, ვინ იცის, იქნება დღესაც «დიდს მოხუცს» გულმა ვერ მოუთმინოს, აღიმაღლოს ხმა დაჩაგრულთა აღსადგენად და მოუწოდოს თავის ქვეყნის მთავრობასაც და ერსაც ამ კეთილშობილურისა და საკაცთმოყვარეო საქმისათვის თავგამოსადებად.

საეჭოა, რომ ან ინგლისმა, ან სხვამ ვინმე თავი გამოიდოს, დღეს, როცა ყველას თავისი ვარამი შინვე ასტეხია, მაგრამ მაინც თითქო იმედია, რომ განათლებული, წარმატებული და კაცთ-მოყვარე ნაწილი ევროპიელებისა ძალას დაატანს გულ-გაქვავებულს, თვალ ხარბსა და გაუმაძღარს ნაწილს ამ ევროპიელებისას და კრიტელების მხარეს დააჭერინებს იმ ბრძოლაში, რომელსაც კრიტელები ეპირებიან ოსმალეთის წინააღმდეგ.

◆◆

სასამართლოს მატიანე

სტავროპოლის ოლქის სასამართლო

(დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე)

1887 წლის 25 სექტემბერს, დილის 8—9 საათს შუა, ქ. სტავროპოლში, ნიკოლოზის პროსპექტზე ულუხანოვის სახლებში მყოფ ლიუცია ბროხნიცკის სასტუმრო ოთახებში იპოვნეს თავის ოთახში მოკლული იქ მცხოვრებელი 1886 წლის ოქტომბრიდგან დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი. იმავე დღეს სასამართლომ განიხილა ეს ადგილი და დაადგინა: ულუხანოვის სახლს გარშემო დიდი ქვითკირის კედელი აქვს შემოვლებული და კარებები სულ მაგრად იკეტება. შუა სართულის № 1 იმყოფებოდა ყიფიანის სადგომი, საიდგანაც გადიოდა ტალანი პატარა ეზოში და ეს ტალანი არასოდეს არ იკეტებოდა. ზემო სართულში იმყოფებოდა №-ები 2 და 3, რომელთაგანშიაც ერთში სცხოვრობდა მასწავლებელი ბარძიმაშვილი. პატარა ეზოს ჭისკარის კლიტე გატეხილი იყო თურმე და იქვე ეგდო ორიოდე ბურღოსებური ლურსმანიც. ტალანი, რომელიც, როგორც გამოძიების მიერ არის გამორკვეული, არასოდეს იკეტებოდა, არც დღე და არც ღამე, ყოველთვის ღია იყო ხოლმე. ამ ტალანს მიჰყვებოდა ყიფიანის სადგომის წინა ოთახში, რომლის ორ-თვალიანი კარებიც ყოველთვის შიგნიდგან იკეტებოდა, ამ კარებში ერთი თვალი კარგად მიხურული აღმოჩნდა, მეორე-კი გარედგან გაღებით გასაღებით. ეტყობოდა, რომ კარები ადვილად დაჰყოლოდა გარედგან გამღების ნებას, რადგან ძალდატანებისა არავითარი ნიშანი არ ედო. გარედგან როცა აწვება ამ კარებს კაცი, იმ მხარეს, რომელშიაც დასკვეტი აქვს, ადვილად იღება, თუნდა დაკეტილიც იყოს და გასაღები ორჯელ გადაბრუნებული ჰქონდეს საკეტში. ამ მაწოლით გაღების დროს კი ბრახუნი გაისმის, რომელიც ადვილად გაიგონება განსვენებულის ყიფიანის სადგომის ყველა ოთახში. აშკარაა, აქედგან უნდა შესულიყო მკვლელი, რადგან ყველა ფანჯრები ხელ-შეუხებელი და დაუზიანებელია.

საწერლო სტოლზედ მიყრილ-მოყრილი იყო ქაღალდები, მოკლულის ხელით ნაწერი. ზოგიერთი უჯრა სტოლისა აქოთებინათ და იქვე ეგდო გახეული ტყავის ქისა, რომელიც პაწია კლიტით იკეტებოდა თურმე. ყიფიანის სადგომის ფანჯრები ეზოსკენ ორის ადლისა და სამის გოჯის სიმაღლეზეა და აი, ერთს ფანჯარასთან იპოვნეს ზედა-ზედ დაწყობილი ორი დიდი ქვა, ორივე ⅓ ადლის სიმაღლისა, ასე რომ ზემო ქვაზედ შემდგარი ადამიანი, რაც უნდა დაბალის ტანისა ყოფილიყო, ადვილად შეიხედავდა ოთახში და ყველაფერსა ჰნახავდა. მოკლულის გვამი საწოლს ოთახში იდო ლოგინზედ, მარჯვენა გვერდზედ იწვა ფანჯრის მხრივ და თვალები ღია დარჩენოდა. თავზედ საბანი და შალი ეხურა, ასე რომ ტიტველი ჰქონდა მარტო ფეხები კოჭებამდე, რომელზედაც ეყარა უწესოდ აყრილი ათი ცალი თეთრის ტილოს ხელსახოცი, ერთი თაბახი ქაღალდი და სხვა ზარათეულობა, განსვენებულის ხელით ნაწერი. მოკლულს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, ხელები ჭუჭყიანის სქელის ტილოს ხელსახოცით და ფეხები—გამოცვლილის პერანგის ამხანაგით. თავზედ მოკლულს მარცხენა საფეთქელში ღრმა ჭრილობა ჰქონდა, რომლიდგანაც ცალიერი ტვინის ზუდე უჩანდა და ტვინი და შედედებული სისხლი-კი ბალიშზედ იყო ამონთხეული. ჭრილობა მარცხენა საფეთქელზე იწყებოდა და პირის მარცხენა ლაშთან თავდებოდა. ცხვირისა და ყბის ძვლები დამტვრეული ჰქონდა. განსვენებული შეამოწმეს ექიმებმა ზელოკომბა, ილიასვმ და ყურავლევმა და დაადგინეს, რომ ყიფიანი ჩლუნგის, ბლაგვის იარაღით უნდა იყოს მოკლული და ამ იარაღის ბურთისებური თავი და გრძელი ტანი უნდა ჰქონოდესო.

საწოლს გვერდზედ, რომელზედაც მოკლულის გვამი იდო, განსვენებულის ფეხებთან იპოვნეს დაკეტილი სამგზავრო ტყავის აბგა, რომელიც მჭრელის დანით გაჭრილი იყო, და იქვე იატაკზედ ეგდო თურმე გულა ლეფოშეს სისტემის დამბაჩისა. ამავე ოთახში იპოვნეს სისხლში შესვრილი პირსახოცი, რომელზედაც მკვლელს გასისხლიანებული ხელები შეუწმენდა, რადგან თითების ნიშნები იყო ზედ. კამოდის უჯრები გამოწეული იყო და შიგ ჩალაგებული საცვალი აქოთებული. ზემო უჯრაში ეგდო შუა-ქრეული ტყავის ქისა. მოკლულის სადგომში ვერც ფული და ვერც ფასიანი ქაღალდები ვერ აღმოაჩინეს, ვერ იპოვნეს აგრეთვე პატარა ჯიბის საათი, რომელსაც განსვენებული თან ატარებდა და რომელიც ღამ-ღამობით საწოლის თავზედ ლურსმანზედ ეკიდა. ამ გარემოებამ გამოძიება იმ აზრზე შეაყენა, რომ მკვლელს, ანუ მკვლელებს ალბად გაძარცვის გამო ჩაუდენიათ ეს ბოროტ-მოქმედება, რადგან ძვირფასი ყოვლივე წაუღიათ და ძნელად სატარებელი და არა ეგოდენად ძვირფასი ნივთეულობა კი დაუტოვებიათო.

შემდეგ გამოძიებისაგანვე აღმოჩნდა, რომ განსვენებული ყიფიანი სადგომში მარტოდ-მარტო სცხოვრობდა და მცირე ნაცნობობა ჰქონდა; ღარიბად იცვამდა, ანგარიშიანობდა, სიმდიდრეს არ მისდევდა, თუმცა-კი ხელს უმართავდა და შველას უწევდა იმ ღარიბებს, რომელნიც მიჰმართავდნენ ხოლმეო. აი ამ გარემოებამ, აგრეთვე სიმხცოვანემ და გენერლობის წოდებამ განსვენებულისამ იმ აზრზედ დააყენა თურმე ბროხნიცკის მოსამსახურენი, რომ ყიფიანი ძალიან შეძლებული კაცია, მაგრამ კრიჟანგი და ძუნწიო. ასეთი აზრი სხვებსაცა სჯეროდათ თურმე ქალაქში, რადგან ხშირად მიჰმართავდნენ ხოლმე შემწეობისთვის სხვა-და-სხვა წოდების ხალხნი დიმიტრი ივანეს ძეს.

განსვენებული 1887 წლის შემოდგომის დამლევს აპირობდა თურმე სტავროპოლიდგან სამშობლოში წამოსვლას, ქუთაისის გუბერნიაში, და ამას ხშირად მოსამსახურეებთანაც ამბობდა, განსაკუთრებით სამსახურ გარეშე მყოფ კაპიტან თევდორე სალვინთან. 24 ოქ-

ტომბერს, საღამოს ცხრა საათზედ, მკვლელობის წინა დღეს, ყიფიანი უკანასკნელად ცოცხალი უნახავს ბროსნიცკის აფთიაქში მყოფ მოსამსახურეს, სათადარიგო ჯარის-კაცს პავლე კაჩინსკის, რომელსაც განსვენებულისათვის ერთი ბოთლი სამინერალო წყალი მიეტანა. განსვენებული მაშინ გარეთ იჯდა თურმე სასტუმროში, წიგნი ეჭირა ხელში და წაღები-კი არ ეცვა, ეტყობოდა ძილს ეპირებოდაო. ყიფიანისას საღამოობით არავინ დაიარებოდა, ყოველთვის მარტო ეძინა ხოლმე და იშვიათად წვებოდა იმავე ოთახში იმისი მოსამსახურე დედაკაცი, სამსახურიდგან გამოსულ უნტერ-აფიცერის ცოლი ალექსანდრა გლადკოვისა, ისიც მაშინ, როცა განსვენებული დიმიტრი ავადმყოფობდა და იტკივებდა რასმე.

მკვლელობის ღამეს დიმიტრი ივანეს ძის მეზობლები შინა ყოფილან: მასწავლებელნი ისტამანოვი და ზარძიმაშვილი და მოხელე საქციზო გამგეობისა ვალერიან არტიშევსკი. ამათში პირველი ორი სახლში საღამოს თერთმეტზედ დაბრუნდა თურმე, უკანასკნელი-კი — შუაღამის პირველ საათზედ. ასე გვიან სახლში დაბრუნებულთ არც ეზოდგან და არც განსვენებულის სადგომიდგან არა შესმენიათრა და საეჭვო არაფერი უნახავთ. ქუჩიდგან შემომავალი კარები ჩვეულებისამებრ დაკეტილი იყო თურმე და თავ-თავისის გასაღებით გააღეს. ექსპერტიზის ექიმებმა-კი გვამის განხილვის შემდეგ დაადგინეს, რომ განსვენებული შუაღამის ორს საათზე ადრე არ უნდა მოეკლათო. თითქმის ამ აზრისანივე არიან ჩვენება-ჩამორთმეულნი ბროსნიცკის ნამზარეულ-დედაკაცარი აგათია ანდრეევისა, იმისი ხელ-ქვეითი გლეხის დედაკაცი პელაგია სავჩენკოვისა და ეკონომ-ქალი პრასკოვია ლეონტიევისა, რომელთაც სწორედ იმ მხარესა სძინებიათ, სადაც სასტუმრო ოთახებია გამართული. ამათ განაცხადეს: გათენებას არა უკლდა-რა, რომ ყეფა შემოგვესმა პაწია ძაღლის ფინტიკისა, რომელსაც ჩვეულებრივ სამზარეულოში სძინავს და იმ ღამესკი გარეთ დავიწყებოდათო. ძაღლი ყეფის დროს ტალანისკენ ეცემოდა ხოლმე, იმ ტალანისკენ, რომლიდგანაც ყიფიანის სადგომში მიდიოდა გზა. ამას გარდა გამოძიების დროს აზნაურმა ლეონარდ ბროსნიცკიმ და იმის მოსამსახურემ კლიმოვმა, ივანე პოვალიაევმა, პელაგია სავჩენკომ და სხვათ სთქვეს, რომ სხვა ძაღლიცა გვყავდა, უშველებელი სანადირო ქოფაკი, მაგრამ ის ძაღლი მკვლელობამდე რამდენსამე დღეზედ ადრე სადღაც დაიკარგა და მხოლოდ ხუთის დღის შემდეგ დაბრუნდა სახლში გამხდარი და დაუძლურებულიო.

(შემდეგი იქნება)

◆◆

დეპეშა

3 აგვისტო

პეტერბურგი. დღეს დაამტკიცა ფინანსთა მინისტრმა წესდება კასპიის საკომერციო ბანკისა.

პარიჟი. რუსეთის სამხედრო მინისტრი, გენერალი ვანნოვსკი, მოვიდა პარიჟში. ვანნოვსკი ინახულა ფრეისინემ.

ბულანჟეს შესახებ წარმოთქმულმა სასამართლოს მსჯავრმა ძრიელ არ იმოქმედა პარიჟელებზე. საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. არსად ხალხს თავი არ მოუყრია და მანიფესტაციები არ გაუმართავს. ერთი ნაწილი ბულანჟელების კომიტეტისა დღეს წავიდა ლონდონში, რომ იქ ბულანჟესთან ერთად შეადგინოს საჭირო წერილები და პროკლამაციები.

პეტერბურგის ბირჟა, 1 მარიამობ.

	მყიდველნი.	გამყიდველნი.	გაყიდულნი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „	— „	7 69
ტამოჟნის კუპონები	$153^{1}/_{2}$	— „	— „
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	1 12	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	$264^{1}/_{4}$	— „	— „
— მეორისა	— „	— „	246
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	-- „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წელიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში — ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—1)

დაიბეჭდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი
ბედი უბედურთა
მოთხრობა ნ. ლომაურისა
გამოცემა
ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი 15 კაპ.
(5—5)

ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ
въ образцахъ,
пер. И. Ф. Тхоржевскаго.
ფასი 30 კაპ

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა»	„	10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	„	60
თორნიკე ერისთავი	1	
საყმაწვილო ამბები	„	40
ნინო ორბელიანის ლექსები	„	40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა	„	80
სურამის ციხე	„	20
გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა	„	40
თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა	„	50
მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა	„	40
დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ	„	15
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	„
ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	,,	50
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა	„	10
გულივერის მოგზაურობა	„	50
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა	„	15
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ	,,	15
დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა	„	10
საქართველოს კალენდარი, გუნიასი	„	45
ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა	„	75
დედა-ენა, მისივე	„	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	,,	50
თამარიანი, გუგუნავასი	„	50
ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი	3	„
რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე	3	60
თამარ-ცბიერი, აკაკისა	„	50

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

არყის ხის ბალზამი დ-რის ლენგილისა,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; **ბენზოს საპონი** ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; **ოპო-პომადი** (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს — 1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება გ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—27)

№ 4711.

ამ ფაბრიკის მარკით მომზადებული
ო-დე-კოლონი,
სურნელოვანი წყლები,
სატუალეტო საპონი საუკეთესო ღირსებისა,
გლიცერინის საპონი,
კანის დასარბილებელი საშუალებანი,
კბილის ტკივილის წამალნი,
პუდრა,
თმის ზეთი, პომადა,
ტუალეტის წყალი
და სხ.

თავისის მშვენიერის ღირსებისა და სიაფის წყალობით მთელს ქვეყანაზეა განთქმული.

ვსთხოვთ საპარფიუმერო საქონლის მყიდველთ, რომ ყიდვის დროს საქონელი მოიკითხონ აქ აღნიშნულ

საფაბრიკო **№ 4711.** მარკიანი,

რომლისთანაც რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში ისყიდება.

უმთავრესი დეპო ტფილისისათვის იმყოფება ი. ზალცერეიტთან.
(10—4)

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ
ისყიდება
„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს **ექვსი შაური** (30 კაპ.), ბუნების კარი — **თხუთმეტი შაური** (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის **ოც-და-ათ ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა, — ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა, — სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 4-го Август 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე